# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 თებერვალი 2005 №39 (2362) ფასი 50 თეთრი

# მასპინძელსა მხიარულსა

## ინგლისელებმა და გერმანელებმა ერთმანეთს ანგარიში შეუბრუნეს




REUTERS ფოტოები



### გოგუა ხიმკის მოიმკის?

თბილისელ კორეელს განელი და ჩილელი შემატნენ

3



### მაურინიუ უდიდესი მწვრთნელია

ინტერვიუ კახა კალაძესთან

4



### მარადონას ჩემთვის არასდროს უღალატია

ინტერვიუ კარლოს ბილარდოსთან

9

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 80 000 მაყურებელი

## რეალი 1:0 იუვენტუსი

1:0 ელგერა (31)

კასილიასი, სალგადო (რაულ ბრავო 9), ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი, გრავესენი, ზიდანი, რაული, რონალდო (ოუენი 76)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი 69), ნედვედი (ოლივერა 37), დელ პიერო (ზალაიეტა 81), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ტურამი, რობერტო კარლოსი, ოლივერა, გრავესენი, ბლაზი, სამუელი, დელ პიერო, ტაკინარდი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)


REUTERS მადრიდიდან
ხელებს ის შლის, ვისაც გააქვს: ივან ელგერა

**„რეალმა“** „იუვენტუსს“ მოუგო, მაგრამ შეიძლება ასეც ითქვას, მხოლოდ 1:0. გოლი დევიდ ბექჰემის ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ ივან ელგერამ თავურით გაიტანა.

შეხვედრა სანახავად საინტერესო გამოდგა, აქ მომენტების ჩამოთვლას აღარ შევუდგებით, თუმცა პირველ ნახევარში ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ის იყო, როდესაც 24-ე წუთზე რაულმა რობერტო კარლოსის და ზინედინ ზიდანის დაწყებული კომბინაცია ბურთის ხარიხისთვის გარტყმით დაასრულა.

მეორე ტაიმშიც იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც მადრიდელთა არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა თავით ძელს გაარტყა ბურთი.

პირველ ტაიმში პაველ ნედვედი თავით შეასკდა რაულ ბრავოს, რის გამოც საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უიღბლო ინციდენტმა „ბებერ ქალბატონს“ შეტევაში მნიშვნელოვნად დააკლო სიმძაფრე.

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. 40 942 მაყურებელი

## ლივერპული 3:1 ლევერკუზენი

1:0 ლუის გარსია (15), 2:0 რიისე (35), 3:0 ჰამანი (90), 3:1 ფრანცა (90)

დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, ლუის გარსია, ბიშკანი, ჰამანი, რიისე (შმიცერი 90), კიუელი (ლე ტალეკი 77), ბაროში (პოტერი 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ბუტი, შნაიდერი, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი (ბიროფკა 83), პონტე (დონოვანი 69), კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 69)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ფრაიერი, დუდეკი, პონტე, ჰამანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**მერვედფინალისტთაგან** შთამბეჭდავად „ლივერპულმაც“ გაიმარჯვა. ანგარიში ინგლისური გუნდის ესპანელმა თავდამსხმელმა ლუის გარსიამ გახსნა, რომელმაც მე-15 წუთზე „ლევერკუზენის“ მეკარეს, ჰანს-იორგ ბუტს ხორვატი თანაგუნდელის, იგორ ბიშკანის პასის შემდეგ ჩაუქროლა და თავისიანები დააწინაურა.

შესვენებამდე ათი წუთი რომ იყო დარჩენილი, იონ არნე რიისემ საჯარიმო დარტყმით ჩაახვია ბურთი ბუტის კარში, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთში გერმანელმა ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა გაუტანა თანამემამულეებს.

თუმცა „ლევერკუზენმა“, რომელსაც პირველ ტაიმში მეორეზე უკეთესი მომენტები ჰქონდა, თავისი გოლი მაინც შეაგდო — ლივერპულელთა მეკარე ირჟი დუდეკი უხეშად შეცდა და ფრანცამ წამით ისარგებლა.


REUTERS ლივერპულიდან
ჰარი კიუელმა იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი ბურთს არ გაეკარა

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი“. 63 000 მაყურებელი

## ბაიერნი 3:1 არსენალი

1:0, 2:0 პიზარო (4, 58), 3:0 სალიჰამიჯიჩი (65), 3:1 ტურე (88)

კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი 75), ფრინგსი, დემიკელისი, ზე რობერტო (შოლი 57), მაკაი, პიზარო (გერერო 68)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ლემანი, ლორენი, ტურე, სიგანი, კლიჩი (ე. კოული 83), ლიუნგბერგი (ვან პერსი 76), ვიეირა, ედუ (ფლამინი 36), პირესი, ანრი, რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: დემიკელისი, ვიეირა, ლორენი, კოვაჩი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)


REUTERS მიუნხენიდან
არსენ-„არსენალი“ მიუნხენში დაიჩაგრნენ

**კლაუდიო პიზაროს** ორმა და ჰასან სალიჰამიჯიჩის ერთმა გოლმა „ბაიერნს“ „არსენალი“ ზუსტად იმ ანგარიშით დაამარცხებინა, რა ანგარიშითაც მეორე ინგლისურ-გერმანულ წყვილში „ლივერპულმა“ „ლევერკუზენს“ მოუგო. ამ ორ შეხვედრას შორის საერთო კიდევ ის არის, რომ სტუმრებმა ორივეგან სამი გოლის გაშვების შემდეგ შეძლეს ერთის გატანა.

პიზარომ პირველად მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში, მან კოლო ტურეს შეცდომით ისარგებლა. „არსენალის“ მცველმა ოლივერ კანის ამოკრულ ბურთს თავი ისე დაუხვედრა, რომ პირდაპირ პერუელს ჩაუგდო ფეხებში, ხოლო მან დაბლა და ღონივრად დაარტყა.

პიზაროს მეორე გოლი 58-ე წუთზე გავიდა, როდესაც მის თავურს ლონდონელთა გერმანელმა მეკარემ, იენს ლემანმა ვერაფერი დაუპირისპირა, ხოლო შვიდი წუთის შემდეგ სალიჰამიჯიჩმა მესამე შეაგდო. ამ ეპიზოდში „არსენალის“ დაცვა საერთოდ აირია და ბოსნიელ ნახევარმცველს შედეგიანად დარტყმის საშუალება მისცა.

მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე პატრიკ ვიეირას დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა და იგი ტურემ შეაგდო ბადეში.

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. 34 000 მაყურებელი

## პსვ ეინდჰოვენი 1:0 მონაკო

1:0 ალექსი (8)

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი (ბესლი 52)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

რომა, მაიკონი, ჟ. როდრიგესი, გივე, ევრა, ზიკოსი, ბერნარდი, კალონი, პლასინი, სავიოლა, ადებაიორი (ნონდა 82)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ფოგელი, როდრიგესი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)


REUTERS ეინდჰოვენიდან
ჟულიენ როდრიგესი და იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**ბრაზილიელი** ცენტრალური მცველის, ალექსის მიერ შეხვედრის დასაწყისში თავით შეგდებული გოლი ჰოლანდიური და ფრანგული გუნდების დაპირისპირებაში ერთადერთი აღმოჩნდა და პსვ-ს გამარჯვება მოუტანა. ალექსის წარმატება მარკ ვან ბომელის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. იგი მონაკოელმა მცველებმა წამით უყურადღებოდ დატოვეს და მანაც მომენტით ისარგებლა, ახტა და ბურთს ძლიერად დაარტყა თავი.

დიდიე დეშანის გუნდმა მასპინძლებს მაინცდამაინც ბევრი პრობლემაც ვერ შეუქმნა. გასული გათამაშების დამარცხებულ ფინალისტთაგან ყველაზე სახიფათო მომენტი არგენტინელ ხავიერ სავიოლას ჰქონდა, მაგრამ მიზანს ააცილა.

„ეინდჰოვენს“ ანგარიშის გაორმაგება მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეეძლო, მაგრამ მცველმა ანდრე ოიერმა ხარიხას გადააცილა.

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
ვესტ ბრომვიჩი 0:0 საუთჰემპტონი
**ჩემპიონატი. XXXV ტური**
კარდიფი 0:1 მილუოლი
კრიუ 1:1 რედინგი
ჯილინგემი 0:1 ვესტ ჰემი
იფსვიჩი 1:2 უოტფორდი
პლიმუთი 3:0 შეფილდი
ქუინზ პარკ 1:1 ვულვერჰემპტონი
სტოკი 3:2 ლესტერი
სანდერლენდი 4:1 როტერჰემი
**I ლიგა. XXXIV ტური**
ბლეკპული 2:1 ბრედფორდი
ბორნმუთი 3:0 ტორკი
ბრისტოლი 5:1 ოლდემი
დონკასტერი 4:0 ბარნსლი
ჰარტლპული 3:1 ბრენტფორდი
ლუტონი 1:0 უოლსოლი
სტოკპორტი 1:2 ჩესტერფილდი
ტრანმერი 3:0 ჰადერსფილდი
რექსემი 2:2 კოლჩესტერი
დონსი 1:1 პალი
**II ლიგა. XXXIV ტური**
ლეიტონი 1:1 ლინკოლნი
კემბრიჯი 1:0 ჩელტენემი
დარლინგტონი 2:1 სუონსი
გრიმსბი 1:0 ჩესტერი
კიდერმინსტერი 1:1 როვერსი
მენსფილდი 1:4 უიკომბი
რაშდენი 3:0 ბერი
საუთენდი 1:0 შრიუსბერი
იოვილი 4:3 სკანთორპი
როჩდეილი — ნორთჰემპტონი გადაიდო
**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**
ექსეტერი 0:1 იორკი
აკრინგტონი 1:1 ჰალიფაქსი
კარლაილი 1:2 სტივენიჯი
ტემუორთი 0:1 ლეი

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
გრენობლი 2:0 რეიმსი

## შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმუირი
გადაიდო

# გოგუა ხიმკის მოიმკის?

## თბილისი სამ კონტინენტს გასწვდა — კორეა, განა, ჩილე...

**ზამთრის** შესვენებაზე, ტრადიციულად, ყველა ქართულ კლუბში მოხდა ცვლილებები, მაგრამ „თბილისმა“ ამ მხრივ რეკორდი დაამყარა. ძველ ამბებზე აღარ შევჩერდებით, ახალი კი ისაა, რომ დღე-დღეზე საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა შესაძლოა, რუსეთის პირველდივიზიონელ „ხიმკიში“ გადავიდეს. 21 წლის პერსპექტიული ფეხბურთის მომავალ კლუბად ხან გერმანულ „შალკეს“, ხანაც ამსტერდამის „აიაქსს“ ასახელებდნენ, მერე თბილისური გუნდები — „ლოკომოტივი“ და „დინამოც“ ამოტივტივდა, თუმც „თბილისი“ გოგიტას იმხანად ვერ შეელია. მოკლედ, ჩვენიანის „ხიმკიში“ გადასვლა-არგადასვლა მალე უნდა გადაწყდეს და თუ ასე მოხდა, გოგუას მოსკოვურ კლუბში გიორგი ლომაია და ვალერი აბრამიძე დახვდებიან.

დიდი შანსია, ლუის ცაკარიასის გუნდი საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, გივი კვარაცხელიამ დატოვოს. აქაც უახლოეს დღეებზეა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენიანის მსურველი კლუბის ვინაობა ჯერ ვერ შევიტყვეთ. აქვე გაცნობებთ, რომ გოგუა და კვარაცხელია საქართველოს ჩემპიონატის მომავალ ტურში ვერ ითამაშებენ იმის გამო, რომ ფოთის „კოლხეთთან“ გაფრთხილებები დაუგროვდათ.

სამაგიეროდ, „თბილისში“ რომ განელი ფორვარდი დუგლას ადომაკო ჩამოვიდა, ეს გეცოდინებათ. 19 წლის ადომაკომ უკვე რამდენჯერმე ივარჯიშა ლუის ცაკარიასის გუნდში, პერუელი მწვრთნელი მას ძალიან აქებს და ალბათ თბილისელები მას მალევე გაუფორმებენ კონტრაქტს.

ახლახან „თბილისს“ ადომაკოს კბილა ჩილელმა ნახევარმცველმა დანიელ არიასმაც ჩამოაკითხა. როგორც შევიტყვეთ, მას ბოლო სეზონში ავსტრიის მესამე ლიგის ერთ-ერთ კლუბში უთამაშია, მერე ტრავმა მიუღია და ერთი-ორი თვე მკურნალობდა. ცაკარიასის ნაცნობმა არგენტინელმა აგენტმა არიასს „თბილისში“ ჩასვლა ურჩია, შენი შესაფერისი ახალგაზრდული გუნდია და სცადე ბედიო. ჩილელი გამოკვეთილი ცაციაა, მარცხენა ფლანგზე თამაშობს, ბურთით პირველად გუშინ ივარჯიშა და ტრავმის მცირე კვალი ჯერაც ეტყობა.

ადომაკო-არიასის გათბილისელება ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ისინი გასინჯვაზე არიან და, როგორც ცაკარიასის თანაშემწე გოჩა თამაზაშვილმა გვითხრა, პარასკევს „კოლხეთთან“ მათი დებიუტი ალბათ არ შედგება — არა მგონია, ამ ორ დღეში საგანაცხადო სიაში შევიყვანოთო.

შეგახსენებთ, რომ „თბილისში“ მაისამდე დარჩება კიდევ ერთი ლეგიონერი — კორეელი მინ ჩოი, რომელმაც უკვე მოასწრო საქართველოს ჩემპიონატში თამაში და „ზესტაფონთან“ არცთუ უმარილოდ გაისარჯა.

**ილია ნანობაშვილი**





## იყო არისი, არის სიონი

### ირაკლი ვაშაკიძე ბოლნისს შეეშველება?

**განახლებული** ჩემპიონატის პირველ ტურში ბოლნისის „სიონი“ მაგრად დაუდგა თბილისის „დინამოს“ და კინაღამ ქულაც გამოსტყუა. ქვემოქართლელებმა ჯიგრიანად იბრძოლეს და მოსალოდნელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ ამ გუნდით რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაუჭირდებათ, ამას ბევრი ლაი-ლაი არ უნდა. „სიონს“ გაძლიერება სჭირდება, კლუბის ხელმძღვანელობაც ამ საქმეს ეშურება და გუშინ ხმაურიანი შენაძენიც გაახერხებინა — თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ ყოფილმა მცველმა ირაკლი ვაშაკიძემ მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი ბერძნულ „არისში“ გაატარა, ახლა კი მაისამდე, ალბათ, ბოლნისში ითამაშებს.

— საბერძნეთში კარიერა ვერ ამეწყო. „არისში“ ათასგვარი პრობლემები მქონდა და იქ დარჩენის აზრიც ვერ დავინახე. ორიოდე კვირის წინ „ზესტაფონთან“ ერთად ანთალიურ შეკრებაზეც ვიყავი, მაგრამ იქ გადასვლა ვერ მოხერხდა. ბოლნისელებისა და ზესტაფონელების გარდა არც ერთი ქართული კლუბი არ შემხმიანებია. „სიონში“ თუ დავრჩი, ისევ სეზონის ბოლომდე, მერე კი იმედია, ისევ უცხოური გუნდის ვარიანტი გამომიჩნდება“ — გვითხრა ირაკლი ვაშაკიძემ, რომლის ბოლნისურ კლუბთან შეთანხმება გუშინ ღამე გადაწყდებოდა.

რამდენიმე დღის წინ „სიონში“ თბილისის „სპარტაკის“ რამდენიმე ფეხბურთელის გადაყვანაზეც იყო ლაპარაკი, თუმც, როგორც ბოლნისური კლუბის კონსულტანტმა კახა ცხადაძემ გვითხრა, ეს ვარიანტი აღარ განიხილებაო.

სამაგიეროდ, დღეს-ხვალ ქვემოქართლელები ოფიციალურად შეიმატებენ ნახევარმცველ დავით დათვაძეს, რომელიც „სიონში“ შარშანწინაც თამაშობდა, შარშან კი ერთ-ერთ ბაქოურ კლუბში ირიცხებოდა.

**ილია ნანობაშვილი**

## უეფამ შვილები და შვილიშვილები დანომრა

### საქართველო ოცდამეთოთხმეტეა

გუშინ უეფამ 2003-04 წლების სეზონის შემაჯამებელი კოეფიციენტების ცხრილი გამოაქვეყნა. ბოლო ხუთი სეზონის მიხედვით ევროპის საკლუბო ფეხბურთის ლიდერი ქვეყანა ესპანეთია, მეორე-მესამე ადგილებზე ინგლისი და იტალია არიან.

ამგვარად, 1998-99 წლების სეზონის შედეგები მხედველობაში უკვე აღარ მიიღება და ბოლო ხუთწლეულის საერთო რეიტინგი 2000-2004 წლებს მოიცავს. სწორედ ეს, ახალი რეიტინგი განსაზღვრავს მომავალ ევროსეზონში მონაწილე კლუბების რაოდენობას, რა თქმა უნდა, ქვეყნების მიხედვით

#### განთესვის სისტემა

ეს კოეფიციენტები გამოიყენება 2004-05 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე მონაწილე კლუბთა განსათესადაც. ცალკეული კლუბის რეიტინგი კი ასე გამოითვლება — თავად კლუბის კოეფიციენტს ემატება მისი ქვეყნის კოეფიციენტის ნახევარი. მოკლედ, უკეთესი ქულების მქონე კლუბები განთესილებში ხვდებიან.

#### ქვეყნების კოეფიციენტების დათვლის მეთოდი

თავიდან ჯამდება ყველა ქულა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის კლუბებმა ევროტურნირებზე თამაშისას დააგროვეს. ჯამური შედეგი კი ამ კლუბთა რაოდენობაზე იყოფა. სწორედ მიღებული რიცხვია ქვეყნის კოეფიციენტი ბოლო სეზონში.

#### კოეფიციენტების ცხრილი

შედეგები ითვლება მეათასედამდე სიზუსტით და არ მრგვალდება:

ა) მოგებაზე ირიცხება 2 ქულა (საკვალიფიკაციო ეტაპზე მოგება — 1 ქულა);

ბ) ფრეზე ირიცხება 1 ქულა (საკვალიფიკაციო ეტაპზე ნათამაშები ფრე — 0,5 ქულა);

გ) წაგებაზე ქულა არ ირიცხება.

#### დამატებითი ქულები

ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის მეოთხედფინალში, ნახევარფინალში ან ფინალში გასულ კლუბებს ყოველ მომდევნო ეტაპზე თამაშისას თითო დამატებითი ქულა ერიცხებათ. დამატებით ქულას იღებენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრილი კლუბებიც.

#### სად ვართ?

უეფას საახალსეზონო ცხრილში საქართველო ერთი საფეხურით დაქვეითდა და 34-ე ადგილზეა 4,999 ჯამური კოეფიციენტით. ქართულმა კლუბებმა 2003-04 სეზონში 1,000 ქულა შემატეს აქტივს, რის შედეგადაც ახალ ევროსეზონში საქართველოს კვლავაც სამი გუნდი წარადგენს — ერთი ჩემპიონთა ლიგაში, ორიც უეფას თასზე. ინტერტოტოს თასის შედეგები კი მხედველობაში არ მიიღება.

**კახა ზალამბერიძე**

**ეროვნული ფედერაციების კოეფიციენტთა რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | 79,851 |
| 2 | ინგლისი | 62,153 |
| 3 | იტალია | 59,186 |
| 4 | გერმანია | 49,489 |
| 5 | საფრანგეთი | 48,326 |
| 6 | პორტუგალია | 42,333 |
| 7 | საბერძნეთი | 34,081 |
| 8 | ჰოლანდია | 34,081 |
| 9 | ჩეხეთი | 33,075 |
| 10 | თურქეთი | 32,291 |
| 11 | შოტლანდია | 32,175 |
| 12 | ბელგია | 28,875 |
| 13 | შვეიცარია | 22,375 |
| 14 | უკრაინა | 22,125 |
| 15 | ნორვეგია | 21,900 |
| 16 | პოლონეთი | 21,750 |
| 17 | ისრაელი | 21,249 |
| 18 | ავსტრია | 21,125 |
| 19 | სერბეთი | 20,165 |
| 20 | ბულგარეთი | 19,998 |
| 21 | რუსეთი | 19,916 |
| 22 | დანია | 17,450 |
| 23 | ხორვატია | 17,375 |
| 24 | შვედეთი | 16,716 |
| 25 | უნგრეთი | 15,290 |
| 26 | რუმინეთი | 14,790 |
| 27 | სლოვაკეთი | 12,832 |
| 28 | სლოვენია | 9,332 |
| 29 | კვიპროსი | 8,998 |
| 30 | მოლდოვა | 6,832 |
| 31 | ლატვია | 5,998 |
| 32 | ფინეთი | 5,874 |
| 33 | ბოსნია | 5,499 |
| 34 | **საქართველო** | 4,999 |
| 35 | მაკედონია | 4,830 |
| 36 | ლიტვა | 4,165 |
| 37 | ბელარუსი | 3,582 |
| 38 | ისლანდია | 3,332 |
| 39 | მალტა | 3,331 |
| 40 | ირლანდია | 3,164 |
| 41 | სომხეთი | 2,831 |
| 42 | უელსი | 2,332 |
| 43 | ლიხტენშტაინი | 2,000 |
| 44 | ალბანეთი | 1,831 |
| 45 | ჩრდ. ირლანდია | 1,665 |
| 46 | ესტონეთი | 1,665 |
| 47 | ლუქსემბურგი | 1,498 |
| 48 | აზერბაიჯანი | 1,165 |
| 49 | ფარერები | 0,832 |
| 50 | ყაზახეთი | 0,666 |
| 51 | ანდორა | 0,000 |
| 52 | სან მარინო | 0,000 |

# კალაძე VS კრისტიანო რონალდო

## მაურინიუ უდიდესი მწვრთნელია, მაგრამ მილანი ჩემი გუნდია



დღეს „მილანი“ „ოლდ ტრეფორდზე“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში „მანჩესტერს“ შეებმება და იმედია, კახა კალაძეც ითამაშებს. უკრაინელმა ჟურნალისტებმა კალაძეს ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელშიც წინასამანჩესტერო ამბების გარდა სხვა საინტერესო თემებზეც ესაუბრნენ და „მილანიდან“ „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლაზეც ჩამოუგდეს სიტყვა...

— ამბობენ, „მილანს“ „ჩელსისგან“ ერნან კრესპოს გამოსყიდვა სურს და ლონდონელებს 15 მილიონი ევროს გარდა კალაძესაც სთავაზობსო...

— უკვე ერთი თვეა, ასეთი ლაპარაკი მესმის, მაგრამ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მე მშვენიერი ურთიერთობა მაქვს კარლო ანჩელოტისთან, რომელსაც ჩემი სჯერა. „მილანი“ სერია A-შიც და ჩემპიონთა ლიგაშიც ღირსეულად თამაშობს, ასე რომ, აქედან წასვლა ნამდვილად არ მინდა. აი, თუ კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ჩემს გასხვისებას, მაშინ დავფიქრდები. იმას კი გეტყვით, რომ „ჩელსის“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტად ვთვლი.

**— რომან აბრამოვიჩს თუ იცნობთ?**

— კი, მაგრამ ამას უფრო შორიდან ნაცნობობას დავარქმევდი. აბრამოვიჩს რამდენჯერმე შევხვედრივარ.

**— როგორც ვიცით, იგი დაინტერესებულია თქვენი პერსონით...**

— აბრამოვიჩს ჩემთან ამაზე არასოდეს უსაუბრია, აზრიც არა აქვს. მე კიდევ წელიწადნახევარი მაკავშირებს კონტრაქტით „მილანთან“ და ვიმეორებ, არსად წასვლა არ მსურს — თუნდაც ეს „ჩელსი“ იყოს. თუმცა კი, მოხარული ვარ, ასეთ ძლიერ გუნდს რომ მოვწონვარ.

**— ბოლო ხანებში ინგლისის პრემიერლიგა თითქოს ევროპული საკლუბო ფეხბურთის ცენტრად იქცა. თქვენი აზრიც ასეთია?**

— როგორ გითხრათ, ბრიტანულ კლუბებში სერიოზული თანხები ჩაიდო, თუმცა ევროტურნირებზე ესპანური და იტალიური გუნდები უფრო შედეგიანად თამაშობენ. რაც უნდა ატრიალო, მთავარი მაინც შედეგია...

**— „კალიარისთან“ ბოლო ტურში რატომ არ ითამაშეთ?**

— არ დაგიმალავთ, ანჩელოტი უკვე „მანჩესტერთან“ მატჩზე ფიქრობდა და რამდენიმე მოთამაშე დაასვენა. თანაც, მომდევნო ტურში „ინტერთან“ გვაქვს უპრინციპულესი შეხვედრა. გატუზოს საერთოდ არ უთამაშია, კაკა ბოლო წუთებში გავიდა მინდორზე, მე კი სამი გაფრთხილების გამო გამოვტოვე ეს მატჩი...

**— გაფრთხილებები რომ არა, აუცილებლად ითამაშებდით?**

— რაც გამოვჯანმრთელდი, მას შემდეგ ანჩელოტი მუდმივად მანდობს ადგილს ძირითადში. შარშანდელი წყეული ტრავმა რომ არა, „მილანის“ თერთმეტეულში რეგულარულად ვითამაშებდი.

**— „კალიარისთან“ კი მოიგეთ, მაგრამ „მანჩესტერი“ „კალიარი“ არ არის...**

— რა შედარებაა. მანჩესტერელების ბოლო თამაშებს ვუყურე, გადასარევად თამაშობენ და არც კი მახსოვს, ბოლოს როდის წააგეს. ახლა ჩემს თავს კრისტიანო რონალდოს წინააღმდეგ თამაშისთვის ვამზადებ — ეს პორტუგალიელი ჩემს ფლანგზე დარბის და ამ ბოლო დროს მაგარ ფორმაშია.

**— „კალიარისთან“ შევჩენკო დაშავდა და ხომ არ ფიქრობთ, რომ უმისოდ „მილანი“ ფსიქოლოგიურად ცოტა გატეხილია?**

— შევჩენკო გუნდის უდავო ლიდერია და, რა თქმა უნდა, უმისობა ყოველთვის გვეტყობა. თუმცა „მილანს“ თერთმეტივე პოზიციაზე ჰყავს სრულფასოვანი შემცვლელები, რასაც ვერ იტყვი, მაგალითად, „იუვენტუსზე“ — მათ 11 კაცი ჰყავთ და ვინმე თუ დაუშავდებათ, აშკარად სუსტდებიან. „კალიარისთან“ ძალიან გაგვიჭირდა. კიდევ კარგი, ბოლო წუთებზე მაინც გავიტანეთ გამარჯვების გოლი. ისე, „შევას“ ოპერაციას უკეთებენ და, როგორც გავიგე, 20 დღე ვერ ითამაშებს.

**— კახა, რამდენიმე დღის წინ ბარსელონის „კამპ ნოუზე“ ევროპისა და მსოფლიოს ნაკრებების საქველმოქმედო შეხვედრაში ითამაშეთ. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

— ძალიან სასიამოვნო იყო მსოფლიოს უდიდეს ვარსკვლავებთან ერთად თამაში. მათგან თითქმის ყველას ვიცნობ, თუმცა უმეტესობა დიდი ხანია, აღარ მინახავს. ძალიან მხიარული კომპანია შეიკრიბა და მხიარული თამაშიც გამოვიდა. იმედია, მაყურებლებმა გაგვიგეს — არავის უნდოდა ტრავმის მიღება ასეთი საპასუხისმგებლო მატჩების წინ. რაც მთავარია, ძალიან მიხარია, რომ ცუნამით დაზარალებულთა დახმარებაში ჩემი პატარა წვლილიც შევიტანე.

**— შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ კარიერის მიწურულს რუსულ, უკრაინულ ან ქართულ კლუბში ითამაშებთ?**

— არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ წინასწარ გეგმებს არ ვადგენ.

**— როგორ გგონიათ, პოსტსაბჭოური ქვეყნების ნაკრებები რაიმე ხელშესახებ წარმატებას თუ მიაღწევენ?**

— რატომაც არა. უკრაინა უკვე ძალიან ახლოსაა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლასთან, ლატვიაც იყო ევროჩემპიონატზე. რუსეთი, რაც უნდა ილაპარაკონ, მაინც სერიოზული ძალაა და ჩვენც — საქართველოს ნაკრებმაც აკრიფა ტემპი, შესარჩევ ჯგუფში ნორმალურად ვთამაშობთ...

# ხუთწლიანი მეხუთე

## შაშიაშვილი ალანიას შაშია?



ჯაბა კანკავა „ალანიას“ ხუთწლიანზე მოურიგდა

**ვლადიკავკაზის** „ალანიამ“ ოფიციალურად გაახმაურა თბილისის „დინამოსგან“ შეძენილი ჯაბა კანკავას კონტრაქტის ზოგიერთი დეტალი. მთავარი და საყურადღებო ამბავი კი ისაა, რომ ოსებმა კანკავას 5-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. სატრანსფერო თანხა და ამგვარი რამერუმეები კი ძველებურად კონფიდენციალური თემაა.

გუშინ „ალანია“ სოჭში გაემგზავრა. ვლადიკავკაზური კლუბისთვის ეს მოსამზადებელი ეტაპის დასკვნითი ნაწილია — ალანიელები პირდაპირ სოჭიდან გაემგზავრებიან სეზონის პირველი ოფიციალური მატჩის სათამაშოდ პერმში, სადაც 7 მარტს რუსეთის თასის შეხვედრა ელით იქაურ „ამკართან“.

სოჭში გუნდს ხუთივე ქართველი ფეხბურთელი გაჰყვა — დავით კვირკველია, ლადო ბურდული, ჯაბა კანკავა, ლევან გვაზავა და ვიტალი დარასელია, რომელიც ბოლო ხანს ჯანმრთელობას უჩიოდა. დარასელია ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც სპეციალური კურსი გაიარა და უკვე აღარაფერი აწუხებს.

შეგახსენებთ, რომ ამ ხუთეულის გარდა „ალანიაში“ გადაბარგებას დინამოელ გიორგი შაშიაშვილსაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ეს საქმე წინ ჯერჯერობით არ წასულა. ისე კი, რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა ჯერაც ღიაა...

**კახა შალამბერიძე**

# თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# ტრირის ქართველი ფრეებს მისტირის



*დავით სირაძე მეორე ბუნდესლიგის განახლებას ტრავმით შეხვდა. 23 წლის ქართველმა ნახევარმცველმა „ტრირის" რამდენიმე მატჩი გამოტოვა, თუმც ბოლო ორ ტურში ძირითადში ითამაშა და, როგორც თავად ამბობს, ტრირელთა თერთმეტეულში მყარად მოიკიდა ფეხი.*

*სირაძის გუნდი ცხრილის შუაშია და კლუბის 100 წლის იუბილეზე სანუკვარ ოცნებას, ბუნდესლიგაში აღზევებას, ალბათ ველარ შესწვდება. დათოს მთავარი მიზანი კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაა.*

*მოკლედ, დავით სირაძეს გუშინ გერმანიაში რომ დავუკავშირდით, იმედიანად გვესაუბრა...*

## დავით სირაძე: ერთი სული მაქვს, ნაკრებში გამომიძახონ

— ახლა უკვე სრულიად ჯანმრთელი ვარ. ორი კვირის წინ „ფიურტთან" სტუმრად სრულად ვითამაშე, გასულ ტურში კი „ალენთან" 2:0 მოგებულ მატჩში მეორე ტაიმში შემცვალეს. საქმე ისაა, რომ მანამდე ყვითელი ბარათი მივიღე და მწვრთნელმა პაულ ლინცმა რისკს თავი აარიდა, თანაც — ცოტა უხეში თამაში იყო. ამ შეხვედრაში ხუთი ნახევარმცველით ვითამაშეთ, ყველაზე უკან დახეული მე ვიყავი.

**— ისევ ნახევარდაცვაში გათამაშებენ, არადა, გასული წლის ბოლოს გოლი რომ გაიტანე, მაშინ თქვი, ლინცი საბოლოოდ ფორვარდად დაყენებას მპირებსო...**

— ასე მეგონა, მაგრამ ზამთრის შესვენებაზე „ტრირმა" ტომისლავ მარიჩი შეიძინა, მას ძალიან ხშირად გააქვს გოლები და ისევ ნახევარდაცვაში დამაბრუნეს. ამით ჩემთვის ცუდი არაფერი მომხდარა — თბილისის „ლოკომოტივშიც" და ბერლინის „უნიონშიც" ხომ უმეტესად შუა ხაზში ვთამაშობდი.

**— მწვრთნელი კმაყოფილია შენი თამაშით?**

— კი, მწვრთნელიც და გულშემატკივრებიც მამხნევებენ, ასე გააგრძელეო. მეც ვატყობ ჩემს თავს, რომ ნორმალურ ფორმაში ვარ. ახლა ერთი სული მაქვს, საქართველოს ნაკრებში გამომიძახონ, ისრაელთან ამხანაგური თამაშის შემდეგ ხომ ალენ ჟირესის გუნდში აღარ მითამაშია. თან მარტის დასასრულს ისეთი მატჩები გველის, რომ...

**— როგორც ბოლო თამაშებმა გამოაჩინა, „ტრირის" ძირითადში ადგილი მყარად დაიმკვიდრე.**

— ალბათ, კი. ყოველ შემთხვევაში, როცა ჯანმრთელად ვარ, მწვრთნელი ყოველთვის პირველივე წუთებიდან მათამაშებს. ტრავმის მოშუშების შემდეგ ლინცი ერთხანს შიშობდა ჩემს დაყენებას, მაგრამ დიდი ნერვიულობის საბაბი არ მიმიცია. არ მესმის, რატომ არ უნდა მათამაშოს ძირითადში...

**— ლიდერთა სამეულს სოლიდური სხვაობით ჩამორჩებით, მაგრამ ამას წინათ თქვი, „ტრირი" მაინც იბრძოლებს ბუნდესლიგაში გადასვლისთვისო. ახლაც იგივე მიზანი აქვს კლუბს?**

— ძალიან გაჭირდება ამის გაკეთება. მეორე წრის საწყის ოთხ ტურში სულ ფრეები ვითამაშეთ, საერთოდ, ბევრი დაუგეგმავი ქულა დავკარგეთ. ამ ოთხი თამაშიდან სამის მოგება თავისუფლად შეიძლებოდა და ამ შემთხვევაში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე ვიქნებოდით. ისე, „ტრირი" ძალიან კარგი, მობილური გუნდია, აქ თამაშით კმაყოფილი ვარ.

**ილია ნანობაშვილი**

**ვიყიდი**

თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266



# საუკეთესო ჩვენი იქნება

## დირექტორი არველაძე მწვრთნელებს გაფილტრავს

არჩილ არველაძე, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 32 მატჩი უთამაშია და 6 გოლი გაუტანია, 35-ე სკოლის დირექტორობას შარშან, 1 დეკემბრიდან შეუდგა. რისი გაკეთება შეძლო დირექტორმა არველაძემ და რის გაკეთებას აპირებს — ტყუპისცალს სწორედ ამაზე ვესაუბრეთ.

35-ე სკოლა ზოგადსაგანმანათლებლოა და საფეხბურთო სექციაც აქვს. ეს სკოლა თბილისის მერიის ბალანსზეა და იქ სწავლა თუ ფეხბურთზე სიარული უფასოა. „რაც დირექტორი გავხდი, მოვახერხეთ, რომ ბავშვების დასწრება 80 პროცენტამდე გაგვეზარდა. მანამდე მეცადინეობებზე 70 ბავშვი თუ დადიოდა, გაცდენები ბევრი იყო. მოგვემატა 50 ბავშვი და დღეს სკოლაში სულ 330 მოსწავლეა" — გვითხრა არველაძემ.

მაგრამ მოედნების მხრივ 35-ე სკოლაში ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი, რასაც, რა თქმა უნდა, ფული სჭირდება.

„გადაწყდა, რომ სკოლა მერიისგან დაახლოებით 400 000 ლარს მიიღებს და ამ თანხით სამ მოედანს გავაკეთებთ — ერთ სტანდარტულს და ორ მინი-მოედანს — სამივე მოედანი ხელოვნურსაფარიანი იქნება" — ასეთი გეგმები აქვს დირექტორ ტყუპისცალს.

დღესდღეობით კი სკოლაში ორი მოედანი ფუნქციონირებს — ერთი ხელოვნურსაფარიანი, რომლის საფარიც შესაცვლელია და მეორე ქვიშამოყრილი. არადა, 35-ე საფეხბურთო სკოლას საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს, ბევრ სახელიან ქართველ ფეხბურთელს გაუგორებია იქ ბურთი, სკოლის ახლანდელი დირექტორიც ერთი ამათგანია.

ახლა საფეხბურთო სკოლებს შორის მძაფრი კონკურენციაა. ჩვენში ფეხბურთის ბუმი არ ჩამცხრალა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებებს თუ კლუბებს ხეირიანი შედეგებისთვის არ მიუღწევიათ. ბუმის მიზეზი კი მხოლოდ ის არის, რომ ფეხბურთი ქართულ მენტალობაში ნომერ პირველი სპორტია — ეროვნული ჩემპიონატის წამყვან კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებსაც კი ჩვენი სოციალური სტანდარტებით საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ.

და რომელია ყველაზე კარგი საფეხბურთო სკოლა ახლა თბილისში? „დღესდღეობით ყველაზე კარგი პირობები „ნორჩ დინამოელში" და „ოლიმპშია", მაგრამ სამ წელიწადში ჩვენ უკვე შვიდი კეთილმოწყობილი მოედანი გვექნება და შევეცდებით, რომ საუკეთესო სკოლა ჩვენი იყოს" — დასძენს არველაძე.

თუმც მოედნების რაოდენობა და ხარისხი ერთია, ხოლო შემოქმედებითი პროცესი მეორე. ბავშვთა ფეხბურთზე ამ მხრივ დღეს ბევრს კამათობენ. ამბობენ, რომ ლიცენზირებული მწვრთნელებიც კი არასწორად წარმართავენ ნორჩების აღზრდის პროცესს, რათა მშობლებისგან გამორჩენა ნახონ.

„დღეს ჩვენი სკოლის მწვრთნელთა ნახევარზე მეტი ლიცენზირებულია და მალე ულიცენზიო მწვრთნელები აღარ გვეყოლებიან. აუცილებლად განვახორციელებთ მწვრთნელთა ფილტრაციას" — პირობას დებს არველაძე.

**დავით თავართქილაძე**





# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## ბარსელონა — ჩელსი

### სავარაუდო შემადგენლობები

| ბარსელონა | ჩელსი |
| --- | --- |
| ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ჟიული, ხავი, ალბერტინი, დეკო, რონალდინიო, ეტოო | ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი , ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, დროგბა, გუდიონსენი |
| მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი | მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ |

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

# დეკო ჟოზე მაურინიუს ფეხმარჯვედ ხვდება



„ბარსელონას“ პორტუგალიელი დეკო ძველ მეგობრებსაც ნახავს

**42 წლის** ჟოზე მაურინიუსთვის „კამპ ნოუზე“ სტუმრობა ჩვეულებრივი ამბავი სულაც არ არის. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ მისი „ჩელსი“ დღეს ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „ბარსელონას“ გაეჯიბრება. კატალონიაში სტუმრობა კი ჩვეულებრივ ამბავთა რიგს ნაღდად არ განეკუთვნება. ხოლო მეორე და დამაინტრიგებელი ამბავი, რომელიც მაურინიუს „ბარსასთან“ შეხვედრას დამატებით ინტერესს სძენს, პორტუგალიელის სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში შეგვიძლია ვიპოვოთ. ერთი სიტყვით, იმის გახსენება გვსურს, რომ „ბარსელონაში“ ბობი რობსონის მწვრთნელობისას, ჟოზე ინგლისელის თანაშემწე იყო და იქაურობას ძალიან კარგად იცნობს.

რომან აბრამოვიჩის ფულით შეძენილი ფეხბურთელებით მოძლიერებული „ჩელსის“ მაურინიუმ თავისი ხელი რომ დაატყო, ამას პრემიერლიგაში ლონდონელთა ერთპიროვნული ლიდერობაც ადასტურებს. ამბიციური, პორტუგალიელი რუს მეპატრონეს ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც დაპირდა და საამისოდ დღეს პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას, მაგრამ „ბარსელონას“ ძლევა, მით უმეტეს მისსავე „კამპ ნოუზე“ ერთობ რთული საქმეა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ლონდონელები კატალონიის მთავარქალაქში გუნებაწამხდარნი ჩავლენ — ინგლისის ასოციაციის თასის მერვედფინალიდან „ჩელსი“ „ნიუკასლმა“ გააგდო, ალან შირერთან შეტაკებისას კი უმძიმესი ტრავმა მიიღო მარცხენა მცველმა უეინ ბრიჯმა, რომელსაც ორშაბათს ოპერაცია გაუკეთეს და „ბარსასთან“ თამაშს ვინდა ჩივის, მთელი სეზონის გამოტოვება მოუწევს.

დღეს ჟოზე მაურინიუ ასევე ტრავმირებულ არიენ რობენს მოისაკლისებს, ბარსელონური ინჩადა ვერც ბოლოხანს ბრწყინვალედ მოთამაშე დემიენ დაფს იხილავს, მაგრამ აუცილებლად იქნებიან დიდიე დროგბა, უილიამ გალასი, ფრენკ ლამპარდი და კაპიტანი ჯონ ტერი, რომლის თავურებსაც განსაკუთრებით უნდა უფრთხოდეს მასპინძელთა მეკარე ვიქტორ ვალდესი. სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში კატალონიელთა გოლკიპერმა მალიორკელ ლუის გარსიას პენალტი აუღო და გუნდის 2:0 გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. „ბარსას“ ორივე გოლი კი პორტუგალიელმა დეკომ გაიტანა.

ამ გვარის ხსენებისას უპრიანია, მოვიგონოთ, რომ დეკო შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, „პორტუს“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, ხოლო სამწვრთნელო შეგონებების მოსმენა მას სწორედ „ჩელსის“ ამჟამინდელი თავკაცისგან, ჟოზე მაურინიუსგან უწევდა. სხვათა შორის, დღეს დეკოს ყოფილი თანაგუნდელები, პაულუ ფერეირა და რიკარდუ კარვალიუც დაუპირისპირდებიან.

მაურინიუსგან განსხვავებით, „ბარსას“ მწვრთნელმა, ფრანკ რაიკარდმა უძლიერესი შემადგენლობის შეკრება მოახერხა. „მალიორკასთან“ ზემოხსენებულ მატჩში მსუბუქად დაშავდა საყრდენი ნახევარმცველი ხავი ერნანდესი, თუმცა ექიმების წყალობით, ის დღეს მოედანზე იქნება. ჩინებულ ფორმაშია და გოლის გატანას ცხადია, ეცდება პრიმერას ბომბარდირი, 2004 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი სამუელ ეტოო. როგორც ყოველთვის, უხასიათობას არც არ უჩივის ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიო, რომელმაც პრესკონფერენციაზე მეტოქე შეაქო და ქომაგს ლამაზ სანახაობას დაპირდა.

„ამ მატჩის მოსაგებად გაათკაცებული მონდომებით ბრძოლა გვმართებს — ამბობს რონალდინიო — ვიცით, რომ „ჩელსი“ ტაქტიკურად კარგად მომზადებული გუნდია და კონტრშეტევებიც ეხერხება. ამიტომაც, ლონდონელებს მჭიდროდ უნდა ვეთამაშოთ და კონტრშეტევების საშუალება არ უნდა მივცეთ. დარწმუნებული ვარ, გადაჭედილი „კამპ ნოუ“ ლამაზ სანახაობას და „ბარსას“ გამარჯვებას იხილავს“.

ბოლოს კი, წარსული მოვიშველიოთ და გავიხსენოთ, რომ „ბარსა“ და „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთს 1999-2000 წლების სეზონში გადაჰყრიან. მეოთხედფინალის პირველ მატჩში ლონდონელებმა შინ 3:1 იმარჯვეს, საპასუხო შეხვედრის ძირითადი დროც 3:1 დასრულდა, დამატებითში კი რივალდომ და პატრიკ კლუივერტმა გაიტანეს.

**სოსო ძოწორეიშვილი**

## პორტუ — ინტერი

### სავარაუდო შემადგენლობები

| პორტუ | ინტერი |
| --- | --- |
| ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, პ. ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ნუნუ ვალენტე, ბოსინგვა, მანიშე, კოშტინია, კვარესმა, ლუის ფაბიანო, მაკკარტი | ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვერონი, კ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი |
| მწვრთნელი: ჟოზე კოუსეირუ | მწვრთნელი: რობერტო მანჩინი |

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

# თუ პორტუ ინტერს მოუგებს...

**დღეს** დისკვალიფიცირებული ფეხბურთელებით საგრძნობლად შესუსტებული „პორტუ“ „ინტერის“ კედლად აღმართულ დაცვას უნდა ეხალოს, თამაში კი „დრაგაუზეა“.

„ძალიან ძნელი შეხვედრა გველის — განუცხადა SPORT TV-ს „პორტუს“ მწვრთნელმა ჟოზე კოუსეირუმ — როგორც ვხედავ, იტალიელები გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას საპასუხო მატჩში აპირებენ. ისინი პორტუში ჩაკეტილ, დაცვით ფეხბურთს ითამაშებენ და შეეცდებიან ფრე წაიღონ“.

მაგრამ, განსხვავებულად ფიქრობს „ინტერის“ არგენტინელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი:

„მატჩი რასაკვირველია, ძნელი იქნება, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მოგებას ვეცდებით, რათა საპასუხო შეხვედრაში რაც შეიძლება ნაკლებ პრობლემებს წავაწყდეთ“.

თუ ჯგუფური ეტაპის ამბები გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ „პორტუ“ პლეი ოფში გაჭირვებით გავიდა, თუმცა დეკემბერში „ჩელსისთან“ 2:1 გამარჯვებით მოპოვებული მეორე ადგილი მაინც ეფექტური გამოდგა — ეს იყო მატჩი, რომელშიაც ჟოზე მაურინიუს ყოფილმა გუნდმა ახალს მოუგო, რაც იოლი საქმე, ბუნებრივია არ არის.

დღეს მასპინძლებს არ ეყოლებათ მცველი ჟორჟე კოშტა და ბრაზილიელი გამთამაშებელი დიეგო, რომლებიც როგორც მოგახსენეთ, დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო მათ გარდა ვერ ითამაშებენ დიეგოს თანამემამულენი, იბსონი, ლეო ლიმა და ლეანდრო.

რაც შეეხება პორტუგალიის ჩემპიონატს, აქ „პორტუმ“ ცუდად დაიწყო, მაგრამ თანდათანობით მდგომარეობა გამოასწორა და დღეს 22 შეხვედრიდან 41 ქულით „ბენფიკას“ ტოლადაა ცხრილის სათავეში.

„თავიდან მართლა ძალიან ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ახლა თუ „ინტერის“ დამარცხებას შევძლებთ, ჩავთვლით, რომ კიდევ ერთხელ შეგვწევს ტიტულის მოპოვების უნარი“ — ეს სიტყვები პორტუგალიელთა სამხრეთ აფრიკელ თავდამსხმელს, ბენი მაკკარტის ეკუთვნის.

„ინტერის“ მწვრთნელზე, რობერტო მანჩინიზე კი ამბობენ, რომ თავდასხმაში ობაფემი მარტინსისა და ადრიანოს წყვილის გამოყვანას აპირებს. ზემოთ ნახსენები ვერონი კი სავარაუდოდ, მარჯვენა ფრთაზე ითამაშებს.

ვინაიდან მანჩინის კრისტიან ვიერის ნაცვლად მარტინსის თამაში განუზრახავს, ესე იგი „პორტუს“ წინააღმდეგ სისწრაფე სჭირდება.

დაცვის ცენტრში ასევე დისკვალიფიცირებული სინიშა მიხაილოვიჩის ადგილს, ალბათ მარკო მატერაცი დაიკავებს.

საყოველთაო გაოცება მანჩინის იმ გადაწყვეტილებამაც გამოიწვია, რომლის შედეგადაც ედგარ დავიდსი და ალვარო რეკობა მილანში დარჩნენ.

**ბაკურა ძედია**






პორტუელები — ჟოზე კოუსეირუ და ნუნუ ვალენტე „ინტერის“ მწვრთნელ რობერტო მანჩინის ბრძოლას პირდებიან

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## მანჩესტერი — მილანი

### სავარაუდო შემადგენლობები

კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი,
სილვესტრი, ჰაინცე,
კ. რონალდო, კინი, სქოულზი, გიგზი,
ვან ნისტელროი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

დიდა, კაფუ, ნესტა,
სტამი, მალდინი, გატუზო,
პირლო, ზეედორფი, კაკა,
კრესპო, ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

# ისტორიის წიგნები და დიდი მატჩი

**„მანჩესტერი“** და „მილანი“ ევროპულ თამაშებში 8-ჯერ დაჯახებიან ერთმანეთს. საშინაო თამაშს ყოველთვის მასპინძელი იგებდა, შემდეგ წრეში კი „მილანი“ გადიოდა.

„მილანმა“ ინგლისურ გუნდებთან სულ ორჯერ ითამაშა ფრე გასვლაზე და ორივე უგოლოდ. ბოლოს ეს 6 წლის წინათ იყო „ჩელსის“ წინააღმდეგ. „მანჩესტერს“ კი 10-ჯერ უმასპინძლია იტალიური გუნდებისთვის და ბოლოს შინ წაუგია „იუვენტუსთან“ ცხრა წლის წინათ.

„მანჩესტერი“ ზედიზედ მეცხრე წელიწადია ჩემპიონთა ლიგის საპლეიოფო ეტაპზე ხვდება, რაც ლიგის რეკორდია. „მილანს“ არასოდეს მოუგია ევროპული თამაში ინგლისში, ხოლო ბოლო ოთხ ყოფნაზე ინგლისში გოლიც არ გაუტანია.

წყვილის პირველი მატჩისთვის, ამ საღამოს რომ გაიმართება „ოლდ ტრეფორდზე“, გუნდებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, მაგრამ მეორე ყვითლის მოლოდინში არიან იუნაიტედელები — პოლ სქოულზი და გაბრიელ ჰაინცე.

ალექს ფერგიუსონმა თქვა: „მილანი“ ძალიან გამოცდილი გუნდია, განსაკუთრებით დაცვაში. ჩვენთვის საუცხოო ის არის, რომ რუუდ ვან ნისტელროი გვიბრუნდება“.

რუუდს წლევანდელი ლიგის 5 თამაშში 8 გოლი აქვს გატანილი, „მილანისთვის“ კი სამწუხარო ის არის, რომ მისმა უკრაინელმა სუპერვარსკვლავმა ანდრეი შევჩენკომ გასულ უქმეებზე, „კალიარისთან“ მატჩში პირისახის უმძიმესი ტრავმა მიიღო და ორ კვირას არ ითამაშებს. „შევას“ ორშაბათ დილით გაუკეთეს ოპერაცია ერთ-ერთ მილანურ კლინიკაში — „ვილა ლეტიციას“ პროფესორების, ბრუზატის, რაფაინის და მარკონის საქმიანობამ წარმატებით ჩაიარა. „შავ-წითლებს“ რომ კიდევ ერთი თავდამსხმელი — ფილიპო ინძაგი — არ ეყოლებათ, კარგა ხნის ცნობილი ამბავია.

წლეულს ჩემპიონთა ლიგის ყველა მატჩი მილანელთა შორის ითამაშეს პაოლო მალდინიმ, ალესანდრო ნესტამ და მეკარე ნელსონ დიდამ, რაც დაცვის შუაგულის ურყევობაზეც მეტყველებს.

დიდი შანსია, „ოლდ ტრეფორდზე“ გამოჩნდეს „მილანის“ მცველი იაპ სტამი, რომელიც ერთ დროს „მანჩესტერის“ დაცვის ბურჯი იყო და მემუარებში ზედმეტად თამამი ნაამბობისთვის ფერგიუსონმა აითვალწუნა. მერე სტამი „ლაციოში“ იყო, ახლა კი „მილანშია“ და ამბობს: „ბოლმა არა მაქვს. მე პროფესიონალი ვარ და აქედან გამომდინარე, ვმოქმედებ“.

„მილანს“ მზადა ჰყავს ანდრეა პირლო და ნესტასაც გრიპი მოურჩენია. ამბობენ, რომ წინ იონ დალ ტომასონი და ერნან კრესპო შეწყვილდებიან, „მანჩესტერის“ წინა ხაზზე კი ვან ნისტელროი-უეინ რუნის დუეტი აღდგება.

„მანჩესტერი“ ზღაპრულ ფორმაშია, ისტორიის წიგნები კი იტალიელთა სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

**ირაკლი გამყრელიძე**



„მანჩესტერმა“ და „მილანმა“ დღევანდელ თამაშამდე ერთმანეთს კბილი შარშან ზაფხულს, აშშ-ში მოუსინჯეს

## ვერდერი — ლიონი

### სავარაუდო შემადგენლობები

რაინკე, სტალტერი,
ისმაელი, პასანენი, მანინი,
ერნსტი, დ. იენსენი, ბოროვსკი,
მიკუ, კლოზე, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი

კუპე, ლ. დიატა, კრისი,
აბიდალი, ბერტოდი,
ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო, გოვუ,
მალუდა, ვილტორდი
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

# ეს იყო ხუთი წლის წინ...



„ლიონის“ მწვრთნელი პოლ ლე გუენი ახლა კი იცინის, მაგრამ დღეს რა გუნებაზე დადგება?

**ბრემენელები** და ლიონელები ერთმანეთს ბოლოს უეფას თასის 1999-2000 წლების სეზონში გადაეყარნენ და გულშემატკივრებს ჩინებული სპექტაკლებიც აჩუქეს. საფრანგეთში მასპინძლებმა 3:0 მოიგეს და თითქოს შემდეგ ეტაპზე გასვლაც ჰქონდათ განაღდებული, მაგრამ „ბრემენელმა მუსიკოსებმა“ პატარა სასწაული მოახდინეს და საპასუხო შეხვედრაში 4:0 იმარჯვეს.

იმ დროიდან „ლიონს“ მხოლოდ მეკარე გრეგორი კუპე შემორჩა, ხოლო გერმანელებს მთავარი მწვრთნელი თომას შააფი და გამოცდილი მცველი ფრანკ ბაუმანი. ამ უკანასკნელმა მაშინ ფრანგებს გოლიც გაუტანა, თუმცა მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და დღევანდელ მატჩში „ვერდერს“ ამიტომ დააკლდება.

გრიპიანები იყვნენ მიროსლავ კლოზე, გუსტავო ნერი და ფრანკ ფარენჰორსტი, მაგრამ ახლა სამივე მათგანი ჯანზეა. სათუო მხოლოდ ივან კლასნიჩის თამაშია, რომელსაც კუნთის ტრავმა აწუხებს. ექიმები მაინც იმედიანად არიან, ხოლო თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, კლოზეს მეწყვილე მაშინ პარაგვაელი ნელსონ ვალდესი იქნება.

ბრემენელები მიმდინარე სეზონში ძალიან შედეგიანად თამაშობენ. მათ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი, 49 გოლი აქვთ გატანილი. „ვერდერი“ ტრადიციულად საშინაო შეხვედრებს ატარებს ძალიან ძლიერად და ამჯერადაც, საპასუხო მატჩის წინ სასურველი ფორის მოპოვებას შეეცდება. გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, „ვერდერს“ სულ ცოტა, ორბურთიანი უპირატესობით გამარჯვება სურს.

„განწყობა მშვენიერია, მოგება გვჭირდება. იმედია, გულშემატკივრები გახარებულები დატოვებენ სტადიონს. დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით ვითამაშებთ, მაგრამ მერწმუნეთ, ერთი გოლით დაკმაყოფილებას ნაღდად არ ვაპირებთ“ — თქვა „ვერდერის“ შვეიცარიელმა მცველმა ლუდოვიკ მანინმა.

„ლიონს“ ახალგაზრდა ფორვარდი ბრაიან ბერგონო და ერთ-ერთი წამყვანი მცველი, ანტონი რევეილიერი დააკლდება — ორივე მათგანს კოჭის ტრავმა აქვს. ვერც ბრაზილიელი კლაუდიო კასაპა ითამაშებს, სამხრეთამერიკელ მცველს „ვერდერთან“ მატჩისთვის წესით, მუხლის მორჩენა უნდა მოესწრო, მაგრამ...

სტუმართა თავკაცი პოლ ლე გუენი მეტოქეს უფრთხის, თუმცა თავისი გუნდის იმედი აქვს. მისი თქმით, „ლიონი“ მოგებას შეეცდება, მაგრამ ფრეზეც იქნება კაბულს.

„წარმატებების იმედი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, თანაც ბრემენში ვთამაშობთ. თუმცა, თუ ერთი ბურთით წავაგეთ, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მთავარია, გოლების ან გოლის გატანა მაინც შევძლოთ“ — აღნიშნა ლე გუენმა.

„ჩვენი მიზანია, ლიგას რაც შეიძლება, დიდხანს შემოვრჩეთ და ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ. ეგებ ბრემენელები გრანდებად არ ითვლებიან, მაგრამ ფაქტია, გასულ სეზონში გერმანული ბუნდესლიგაც მოიგეს და თასიც, ეს კი ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. თანაც ჩინებულ და გამართულ ფეხბურთს თამაშობენ“ — ეს უკვე „ლიონის“ თავდამსხმელის, სიდნეი გოვუს სიტყვებია.

**გიორგი ძაძაბაძე**

## საპასუხო მატჩები გაიმართება 8 მარტს

# შირას აღსარება
## ბოდიში უეინ, მაგრამ ტიტული მინდა



**ალან შირერს** არასოდეს მოუგია ასოციაციის თასი, მისი ერთადერთი ტიტული ოდესღაც „ბლექბერნთან“ ერთად მოპოვებული ინგლისის ჩემპიონობაა.

ჰოდა, ახლა, როცა თასის მერვედფინალში „ნიუკასლმა“ „ჩელსი“ დაიფრინა, ტინსაიდისა და ინგლისის უბურებელ მეგოლეს კვლავ გაეხსნა მადა. „ნიუკასლი“ „ტოტენჰემსა“ და „ნოტინგემს“ შორის გამარჯვებულს ელის, შირერი კი ამბობს: „ოცნება კვლავაც ცოცხალია. თანაც, მეოთხედფინალში მასპინძლები ვიქნებით, „სენტ ჯეიმსზე“ კი სულ სხვაგვარად ვთამაშობთ“.

თვეების მანძილზე ცუდად მოთამაშე „ნიუკასლმა“ მოულოდნელად გაიბრწყინა უეფას თასზეც, ჰოლანდიური „ჰერენვენი“ დაამარცხა და ამასს სამ დღეში, ჩრდილოურ წყალთოვაში „ჩელსიც“ ზედ დააყოლა.

„ჩვენ საუკეთესო კვირა გვქონდა — დასძენს შირა — პატრიკ კლუივერტიც ათამაშდა. შემეცოდა „ჩელსის“ მცველი უეინ ბრიჯი, მატჩის შემდეგ მის სანახავადაც მივედი. საშინლადაც ტკიოდა ფეხი, ვინ ვინ და მე კი მართლა ვიცი, თუ რას ნიშნავს მოტეხილობა. უეინმა მითხრა, თამაშის შემდეგ შენთვის მაისურის გაცვლა მინდოდაო. დავუტოვე, თუკი ეს ოდნავ მაინც მოიყვანს ხასიათზე“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კინი იმუქრება



**როი კინმა** კვლავაც წაიძველბიჭა. უფრო სწორად კი თქვა, ძველბიჭობას არავის დავანებებო და არსენალელ პატრიკ ვიეირას შეუთვალა: „გვირაბში კი არა, სხვაგანაც არ შეგარჩენ, თუ „მანჩესტერის“ ფეხბურთელებთან ბლატაობას ისევ გაბედავ“.

კინის ეს სიტყვები კი იმ ამბავს ეხება, ამასწინათ რომ მოხდა ჰაიბერიზე, „არსენალი“ — „მანჩესტერის“ მატჩის წინ, როცა გვირაბში ვიეირა გარი ნევილს აუხირდა, კინი კი თანაგუნდელს გამოექომაგა და ორი კაპიტნის ქუჩურ-სიტყვიერი დუელი მოიგო.

„ვიცი ვიეირას ხასიათი და იგივენაირად მოვექცევი — განმარტა კინმა — ეგებ გარი თვალში ეპატარავებათ და მასთან მობლატავეთა რიგიც დააყენონ, მაგრამ იცოდნენ, იქა ვარ და ხაზსაც მე ვავლებ“.

საქმე კი ის არის, რომ „მანჩესტერი“ და „არსენალი“ წლეულს უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და შესაძლოა, კიდევ სამჯერ გადაეყარონ —ჩემპიონთა ლიგასა და ასოციაციის თასზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXII ტური**

**ბენფიკა 2:1 გიმარაეში**

1:0 ჟოვანი (12), 2:0 ნუნუ ასისი (44), 2:1 სეზარ პეიშოტო (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 22 | 12 | 5 | 5 | 35:22 | 41 |
| პორტუ | 22 | 11 | 8 | 3 | 27:14 | 41 |
| სპორტინგი | 22 | 11 | 6 | 5 | 46:27 | 39 |
| ბოავიშტა | 22 | 11 | 6 | 5 | 29:27 | 39 |
| ბრაგა | 22 | 10 | 7 | 5 | 29:16 | 37 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 10 | 4 | 25:19 | 34 |
| რიუ ავე | 22 | 7 | 11 | 4 | 29:29 | 32 |
| სეტუბალი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:25 | 31 |
| გიმარაეში | 22 | 8 | 6 | 8 | 21:20 | 30 |
| ნასიონალი | 22 | 9 | 3 | 10 | 28:30 | 30 |
| ბელენენსეში | 22 | 8 | 4 | 10 | 32:28 | 28 |
| ლეირია | 22 | 6 | 10 | 6 | 20:22 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 6 | 5 | 11 | 22:26 | 23 |
| პენაფიელი | 22 | 7 | 2 | 13 | 23:39 | 23 |
| ეშტორილი | 22 | 6 | 4 | 12 | 26:34 | 22 |
| მორეირენსე | 22 | 4 | 9 | 9 | 20:32 | 21 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 4 | 13 | 16:30 | 19 |
| ბეირა მარი | 22 | 4 | 7 | 11 | 22:40 | 19 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XXII ტური**

**დუისბურგი 0:1 მიუნხენი**

0:1 ტისი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:24 | 44 |
| ფიურტი | 22 | 13 | 4 | 5 | 37:24 | 43 |
| დუისბურგი | 22 | 13 | 3 | 6 | 34:22 | 42 |
| ალემანია | 22 | 10 | 4 | 8 | 41:24 | 34 |
| აინტრახტი | 22 | 10 | 4 | 8 | 38:33 | 34 |
| მიუნხენი | 22 | 9 | 7 | 6 | 31:30 | 34 |
| აუე | 22 | 10 | 3 | 9 | 31:24 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 9 | 4 | 9 | 32:29 | 31 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:36 | 30 |
| ტრირი | 22 | 6 | 11 | 5 | 31:33 | 29 |
| კოტბუსი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:28 | 27 |
| უნტერჰახინგი | 22 | 8 | 2 | 12 | 32:35 | 26 |
| ალენი | 22 | 6 | 7 | 9 | 21:26 | 25 |
